

Search here..

netgazeti.ge

გათუქაფუნა  
ბათუმის რესტორანი

BATUMARANI • RESTAURANT

- მთავარი
- ახალი ამბები
- ეკონომიკა
- ტექნოლოგიები
- სამართალი
- კომენტარი
- კულტურა
- საზოგადოება
- ბლოგები
- სამხრეთ კავკასიის ამბები

Navigate to... Navigate to... Navigate to...

- [“სირცხვილია”- ბათუმის ევროპის მოედანზე ისევ შეიკრიბნენ](#)
- [მატარებელში რუსულ ენაზე ინფორმაციას აღარ აცხადებენ](#)
- [სარფში 6 408 ლარის არადეკლარირებული მედიკამენტები აღმოაჩინეს](#)
- [გიდების შენიშვნებიდან 1 თვის შემდეგ რა გამოსწორდა ტურისტულ ობიექტებზე ბათუმში](#)
- [„ოცნების ქალაქში“ კორპუსების დამპროექტებული კომპანია სამინისტრომ 24 000 ლარით დააჯარიმა](#)

სამინდის პროგნოზი

TBILISI

12°

clear sky  
humidity: 46%  
wind: 12m/s NW  
H 12 • L 12



# ხელოვანი არ უნდა იტანჯებოდეს იმისთვის, რომ ტანჯვა აჩვენოს – დევიდ ლინჩი



(032) 226 44 44  
www.tegetamotors.ge

“საქართველოში 2 დღის წინ ჩამოვედი და თავი სახლიდან შორს ვიგრძენი. ქუჩები და არქიტექტურა ძალიან მომეწონა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხალხთან შეხვედრა დავიწყე, ყველაფერი უფრო ახლობელი გახდა და თავს უკვე ისე ვგრძნობდი, თითქოს სახლში ვარ,”- განაცხადა ამერიკელმა რეჟისორმა დევიდ ლინჩმა დღეს, 20 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე.

დევიდ ლინჩი სასტუმრო “თბილისი მერიოტის” საკონფერენციო დარბაზში მოულოდნელად შემოვიდა მაშინ, როცა პრესკონფერენციის დასაწყებად ყველაფერი მზად არ იყო, თუმცა ამას უხერხულობა არ შეუქმნია. რეჟისორმა გვითხრა, რომ სიამოვნებით დალევდა ყავას. მოგვიყვა იმის შესახებაც, როგორ მოეწონა ქართული სამზარეულო, განსაკუთრებით ხაჭაპური, რომელიც ყველისა და პურის კომბინაციად აჩხნა. ლინჩმა ისიც გვითხრა, რომ რესტორანში მომღერალი ქალი გაიცნო, ვინც, მისი აზრით, ბროდვეიზე უნდა გამოდიოდეს.

რეჟისორი დაუზარებლად პასუხობდა ჟურნალისტების შეკითხვებს, ძირითადად კი ტრანსცენდენტალური მედიტაციის, ინსპირაციის და საქართველოს შესახებ უწევდა საუბარი, ლინჩს სექსუალური შევიწროების შესახებაც ჰკითხეს, რომელმაც ამ ბოლო დროს ჰოლივუდი მოიცვა. რეჟისორის განცდით, ამ მხრივ სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება:

“რაც შეეხება სექსუალურ შევიწროებას, ჩემთვის ... ქალები ყოველთვის თავს მესხმიან... მაგრამ აქ სასაცილო ისაა, რომ კაცები განსხვავდებიან ქალებისგან. ქალები თავისებურად, გარკვეული გზით არიან მოწყობილნი და, მე მგონი, ეს ის გზაა, რომელიც კაცობრიობას აძლებინებს/ავითარებს. ჰარვი ვაინშტაინის სკანდალი და სექსუალური შევიწროების საკითხი არამხოლოდ კინობიზნესში, ყველგან, მთელ მსოფლიოში აშკარავდება. მგონია, რომ ყველაფერი ამ კუთხით უკეთესობისკენ იცვლება პატარა ნაბიჯებით, მაგრამ უკეთესი ხდება. დამალული ცხადდება, ცხადდება ცნობების სხვადასხვა ბოროტი მხარე და ეს ერთ-ერთი ბოლოა, რომლის შესახებაც გაცხადდა. ეს ძალიან კარგია, რადგან ქალები აღარ იქნებიან ტრავმირებული”.



დევიდ ლინჩი თბილისში 20.11.17 ფოტო: ნეტგაზეთი/მარიამ ბოგვერაძე

რეჟისორმა გვითხრა, რომ ქართული კინოს შესახებ არაფერი იცის, ისევე როგორც სხვა ქვეყნების კინემატოგრაფის შესახებ ცოდნა არ აქვს, რადგან, როგორც თავად ამბობს, კინოს გადაღება უყვარს და არა კინოს შესწავლა:

გუშინ გავიგე, რომ ფელინი ძალიან აფასებდა ქართულ კინოს და ყველას ურჩევდა მის ნახვას. ამიტომ მაქვს განცდა, რომ ფილმების გადაღება და ზოგადად ხელოვნება საქართველოს ძლიერი მხარეა. ამას ჰაერშიც კი ვგრძნობ. ხელოვნებისთვის ეს განსაკუთრებული ადგილია”.

გახდება თუ არა მისთვის საქართველო კონკრეტული ინსპირაციის წყარო, ნათელი არაა, როგორც ეს პოლონეთის შემთხვევაში მოხდა ფილმისთვის “შინაგანი იმპერია”.

“ყველა ადგილს აქვს გრძობა, ამბობენ, რომ ყველა ქვეყანას თავის როლი აქვს მსოფლიოს ოჯახში, მათ აქვთ თავისი ფაქტურა, ხასიათი, კულტურა. ძალიან ბევრი რამაა, რასაც იგრძნობ, როცა თქვენს ქვეყანაში ჩამოხვალ. საქართველოს განსაკუთრებულად კარგი განცდა მოაქვს. ბევრ ადგილას არ ვყოფილვარ საქართველოში, მაგრამ ამ ადგილმა სხვდასხვა იდეები უკვე გამიჩინა. მითხრეს, რომ ფოტოებს გამომიგზავნიან, წინასწარ არაფერი ვიცით, მაგრამ საქართველო იდეებისთვის დიდებულ შესაძლებლობებს ფლობს,” - გვითხრა რეჟისორმა, რომელსაც კოსტუმზე დამაგრებული ჰქონდა საქართველოსა და ამერიკის დროშების ბროში.



დევიდ ლინჩი თბილისში 20.11.17 ფოტო: ნეტგაზეთი/მარიამ ბოგვერაძე

ლინჩის ვიზიტი უკავშირდება მისი სახელობის ფონდის საქართველოში დაარსებას, რომელიც 2017 წლის ივლისში დაფუძნდა. ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია დევიდ ლინჩის სახელობის ამერიკული უნივერსიტეტისა და A კლასის კინოფესტივალის დაარსება და TM (ტრანსცენდენტალური მედიტაციის) პროგრამის მეშვეობით ტრავმული სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით გამართავს რეჟისორი შეხვედრებს თბილისში. დევიდ ლინჩი ტრანსცენდენტალურ მედიტაციას მისმა დამ აზიარა. სანამ ტრანსცენდენტალურ მედიტაციას აღმოაჩენდა, მან მედიტაციის ბევრი ფორმის შესახებ წაიკითხა, თუმცა თავადვე ამბობს, რომ მისი შესაფერისი ვერ იპოვა:

“ყოველთვის მესმოდა ფრაზა, რომ ნამდვილი ბედნიერება არ არის გარეთ, რომ ეს ბედნიერება ჩვენს შიგნითაა, მაგრამ ეს ფრაზა არ გვეუბნება ამ ბედნიერებამდე როგორ უნდა მივიდეთ, და მე დავიწყე ფიქრი, სადაა ეს “შიგნით”? გულში, მუხლებში თუ სად? ჩვენ ჩვენს თავს ხშირად როგორც სხეულს ისე ვხედავთ. ამის შემდეგ მედიტაციით დავინტერესდი, იქნებ ეს არის გზა, რომ “შიგნით” აღმოვაჩინოთ და ეს ბედნიერება ვიპოვოთ. ისიც აღმოვაჩინე, რომ ძალიან ბევრი სახის მედიტაცია არსებობს, ბევრი წავიკითხე, მაგრამ ჩემთვის შესაფერისი ვერ ვიპოვე. ყველაფერი მომეწონა, რაც ჩემმა დამ ტექნიკის შესახებ მითხრა, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ მის ხმაში ცვლილება შევნიშნე, მის ხმაში მეტი თვითდაჯერება და ბედნიერება იგრძნობოდა. მაშინ ვთქვი, რომ ამ ტექნიკის დაუფლება მსურდა”.

ლინჩი მიიჩნევს, რომ სტრესი, უარყოფითი ენერჯია, შფოთვა, წნეხი, სიძულვილი, შემოქმედებითობის მტერია და მას კლავს. თუმცა პერსონალურად ლინჩისთვის ტრანსცენდენტალურ მედიტაციას შემოქმედებითობის პრობლემა არ გადაუჭრია, მას თავდაჯერებულობა შესძინა.

“იმ დროს კრეატიული ვიყავი, მაგრამ თვითდაჯერებულობა მაკლდა, ბევრს ვშფოთავდი და ვბრაზობდი, დაქორწინებული ვიყავი და ამ ბრაზს ჩემი პირველ ცოლისკენ მივმართავდი და მისი ცხოვრება ჯოჯოხეთს დავამსგავსე. ვანალიზებდი რასაც ვაკეთებდი, მაგრამ ვერ ვჩერდებოდი. გაბრაზებული ვიყავი და მასზე ვიყრიდი ჯავრს. მას შემდეგ რაც ტრანსცენდენტალური მედიტაცია დავიწყე, ორ კვირაში, მოვიდა და მკითხა რა მჭირდა, დავაზუსტე, რას გულისხმობდა, მან კი მკითხა, რატომ აღარ ვბრაზდებოდი და მე მივხვდი, რომ ამას მცდელობის გარეშე მივადწიე. ჩემს ცოლს უკვე კარგად ვეცეოდი, ბედნიერი ვხდებოდი და უფრო თვითდაჯერებული”, – განაცხადა ლინჩმა.

ლიონჩი ცდილობს ყველაფრისგან დადებით ენერჯია მიიღოს, განსაკუთრებით კი ეს მის სამუშაოს ეხება, მისი რჩევაც ახლოაწრდებისთვის ზოგადად და განსაკუთრებით რეჟისორებისთვის, იმაში მდგომარეობს, რომ რასაც აკეთებენ, იმისგან ყოველდღიურად ისიამოვნონ:

“ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობს იმისთვის, რომ ფული გამოიმუშავოს, შეიძლება სულაც არ მოსწონდეთ ის, რასაც აკეთებენ, მაგრამ ფულისთვის შრომობენ. მჯერა რომ შესაძლებელია, იმით მივიღოთ სიამოვნება რასაც ვაკეთებთ. მჯერა იმისიც, რომ სიამოვნებაა ის, საიდანაც ბედნიერება მოდის, ამიტომაც ვსაუბრობ ტრანსცენდენტალური მედიტაციის შესახებ. ამიტომაც ვუწევ მას რეკომენდაცია. ახალგაზრდებს ვურჩევდი, რომ ყოველდღე ისიამოვნონ, როდესაც კამერით დარბიან, ისიამოვნონ ლამაზი კადრებით, რომელსაც გადაიღებენ. უკან როდესაც ვიხედები, შეიძლება ჯილდოები არ მიმიღია და არც მულტიმილიონერი ვარ, მაგრამ მიყვარს რასაც ვაკეთებ და მართლაც ძალიან კარგი ნამუშევრები მაქვს. ეს არის მთავრი, გიყვარდეს სამუშაო”, - ამბობს ლინჩი.

რეჟისორისთვის ტრანსცენდენტალური მედიტაცია ის საშუალებაა, რომლითაც იმ განძამდე უნდა მიხვიდე რომელიც ადამიანშია. ლინჩს ის სიმარტივეც მოსწონს, რასაც ადამიანისგან ტრანსცენდენტალური მედიტაცია მოითხოვს.

“ეს არც რელიგიაა და არც კულტია, მე არასდროს არ ჩავეწერებოდი რაიმე კულტში. არ გჭირდებათ, რომ რამეში გაწევრიანდეთ და ა.შ. თქვენ უბრალოდ ვარჯიშობთ რეგულარულად და ყველაფერი უკეთესი ხდება”.



დევიდ ლინჩი თბილისში 20.11.17 ფოტო: ნეტაზეთი/მარიამ ბოგვერაძე

რეჟისორმა ლამის კინოდ აქცია იმ მომენტის აღწერა, თუ როგორ იქმნება კინოამბები და ეს თავსატეხს შეადარა, ერთგვარ “პაწლოს” რომელსაც აწყობ:

“ყველაფერი “პაწლის” ფორმით არსებობს და თუ მე ამ პაწლის ერთი ნატეხი მაქვს, მას აქვს ხასიათი, ვხედავ მას როგორც პიროვნებას, რაც აცვია, მესმის მისი ხმა, ვხედავ როგორ მუშაობს, მაგრამ მეტი არაფერი ვიცი, თუმცა ეს ნაწილი მიყვარს და ამ პატარა ნაწილზე ვფიქრობ. ასე ჩნდებიან სხვა ნაწილები და მე მათ ვიჭერ, მათ თავმოყრას ვცდილობ, თუმცა შეიძლება ისინი საერთოდ ვერ ეწყობოდნენ ერთმანეთს. ასე იქმნებიან ამბები”.

რეჟისორმა განსაკუთრებულად ისაუბრა იმ წარმოსახვით ქალზე, რომელმაც მასზე დიდი ზეგავლენა იქონია. თვალუბდახუჭული ლინჩი გვიყვებოდა შიშველი ქალის ისტორიას, რომელიც მასთან სიბნელიდან მივიდა:

“დიახ, მე მიყვარს ქალები. მიყვარს იდეა ადამიანებისა, რომლებიც სიბნელიდან გამოდიან. ეს ქალი მაშინ ვნახე, როცა პატარა ვიყავი, ღამე იყო და ის სიბნელიდან მოვიდა. შიშველი იყო და პირი სისხლიანი ჰქონდა. ალბათ ნაცემი იყო, ქმარმა ან მეგობარმა კაცმა სცემა. ეს ტრავმული სცენა იყო, მაგრამ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ქალი ძალიან, ძალიან ფერმკრთალი იყო, მანამდე შიშველი ქალი არასდროს მინახავს და ამან დიდი გავლენა იქონია. ჩემი პატარა ძმა ჩემთან ერთად იყო და ტირილი დაიწყო, არ ვიცოდი როგორ დავხმარებოდი. ჩემი ფილმების მსგავსად, ქალები ძალიან ძალიან ბევრ ფილმში არიან. ჩემს ფილმებში კაცებიც არიან, ყველაფერი დაკავშირებულია იმასთან, როგორ მოქმედებენ პერსონაჟები ერთმანეთზე ამ კინოისტორიაში. ხელოვანი არ უნდა იტანჯებოდეს იმისთვის, რომ ტანჯვა აჩვენოს, ეს სიხარულით სავსე გამოცდილება უნდა იყოს”.



დევიდ ლინჩი თბილისში 20.11.17 ფოტო: ნეტგაზეთი/მარიამ ბოგვერაძე

უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით ლინჩმა გუშინ გამართა შეხვედრა საქართველოს [კარლამენტში](#). მიუხედავად იმისა, რომ ამ უნივერსიტეტის დაარსება მნიშვნელოვნად მიიჩნევა თავად თვლის, რომ აკადემიური სწავლისას დროს კარგავდა. ლინჩი მიიჩნევს, რომ შემოქმედებითობის სწავლა შეუძლებელია, მაგრამ ტექნიკური ცოდნა ასევე მნიშვნელოვანდ მიაჩნია.

“სწავლა რამის კეთებით მნიშვნელოვანია, ინტელექტუალური ცოდნა, რომელსაც ისმენ ხანდახან ქრება, რეალურად კეთებით სწავლობ”, - ამბობს რეჟისორი.

## AN ARTIST SHOULD NOT SUFFER IN ORDER TO EXPRESS SUFFERING – DAVID LYNCH

I arrived here two days ago and I felt far away from home. I liked streets and architecture very much but as soon as I started to meet with people, everything became very close and I felt like I was at home,” – said David Lynch at the press conference held today on the 20th of November.

David Lynch entered the conference room of “Tbilisi Marriott” unexpectedly when everything was ready for the beginning of the press-conference, but it didn’t cause any embarrassment. The film director said he’d drink a cup of coffee with great pleasure, shared with us how he liked Georgian cuisine, especially Khachapuri which he explained as a combination of bread and cheese. Lynch also told us that he met a singer lady at the restaurant which he thinks should appear on Broadway.

The director answered all the questions of the journalists with readiness. He mainly spoke about Transcendental Meditation, inspiration and Georgia. Lynch was asked about sexual harassment which lately was so widespread in Hollywood. According to the film director situation in this direction changes into better side:

“As for me sexual harassment... Women always fall on me, but here the funny thing is that men are different from women and women are made differently and I think that this is the way that makes the mankind survive. Harvey Weinstein’s scandal and the question of sexual harassment reveals not only in film business but in the whole world, I think everything improves little by little, but it becomes better. The hidden becomes visible, different evil sides of life reveal and this is one of the latest which revealed. This is very good as women will not be traumatized anymore.”

David Lynch in Tbilisi 20.11.17 Photo: Netgazeti/ Mariam Bogveradze

The film director said, he does not know anything about Georgian cinema as well as of the cinema from other countries. As he says he likes to make film, not to learn it:

“I found out yesterday that Fellini appreciated Georgian cinema very much and recommended it to everyone, that’s why I have a feeling that shooting films and generally art is the strong side of Georgia. I even feel it in the air. This is special place for art.”

It’s not clear if Georgia will become a source of his inspiration as it became in case of Poland in the film “Inland Empire”.

“Every place has its feeling. It’s said that every country plays its role in a world family. They have their texture. character, culture. There are so many things that you can feel arriving in your country. Georgia evokes pleasant feelings. I haven’t been to many places in Georgia but these places already inspired me to some new ideas. I’ve been told that the photos will be sent to me, I don’t know anything in advance, but Georgia has great possibilities of ideas”, - said the film director who had a pin of Georgian-American flags on his suit.

## *Translated*

---

Lynch's visit is related to the establishment of his foundation in Georgia which was founded in July of 2017. The main activities of the foundation are establishment of David Lynch American University and A class film festival, as well as psychological rehabilitation of people with post-traumatic stress disorder by mean of TM (Transcendental Meditation). These will be the main topics of the meetings that the director will hold in Tbilisi. It was David Lynch's sister who first introduced Transcendental Meditation to him. Before discovering Transcendental Meditation he has read about many forms of meditations but as he says he could not find the one that was the most appropriate for him:

"I always heard the phrase that real happiness is not outside but it's inside of us but this phrase does not teach us how to get to this inner happiness and I started to think where is this "inside"? In the heart, in our knees or where? We often perceive ourselves as a body. After that I got interested in meditation, maybe there is a way to discover this "inside" and find our happiness. I also discovered that there are very many forms of meditation, I read much but could not find the most relevant for me. I liked everything that my sister told me about the technique. But the most important is that I felt change in her voice. I felt more self-confidence and happiness in her voice. And then I said that I wanted to learn this technique."

Lynch thinks that stress, negative energy, anxiety, pressure, anger is enemy for creativity and kills it. But personally, for Lynch Transcendental Meditation didn't resolve a problem of creativity but increased his self-confidence.

"I was creative at that time but I had a lack of self-confidence, I had much anxiety and anger. I was married and I directed this anger to my first wife and I made her life a real hell. I realized everything I was doing but I could not stop. I was angry and I turned this anger on to her. Once I started Transcendental Meditation she came to me after two weeks and said, what was happening to me. I asked her to make it clear what she meant. She asked why I was not angry anymore and I found out that I reached it without trying. I treated my wife better, I became happier and more self-confident", - expressed Lynch.

Lynch tries to get positive energy out of everything, especially it concerns his work. His advice for the youth generally and especially for film –makers is to enjoy what they are doing every day.

"Very many people work in order to make money. Maybe they don't like what they are doing but they work for money. I believe that it's possible to enjoy what we are doing, I also believe that pleasure comes from where the happiness is. That's why I speak about Transcendental meditation and recommend it. I advise the young people to enjoy every day while running with a camera. Enjoy beautiful. When I look back maybe I don't have many awards and I'm not a multimillionaire, but everything that I'm doing and I really good works, this is the most important to love your job", - says Lynch.

For Lynch Transcendental meditation is the means of reaching the treasure you have inside. Lynch also likes that simplicity that Transcendental meditation offers to people.

"This is not a religion, not a cult. I'd never sign up to any cult. You don't need to assign to anything etc. You just do a regular exercise and everything becomes better".

## *Translated*

---

The film director almost turned into a film while describing how the movie stories are being created and he compared it to a riddle, some kind of a “puzzle” that you try to assemble:

“Everything exists in a form of a puzzle and if I have one part of this puzzle, it has its mood and I see it as a person, how is it dressed, I hear its voice, I see how it works but I don’t know anything else. But I like this part, I think about this little part. This is how the other parts are created and I capture them. I try to assemble them, although maybe they don’t fit into each other at all. This is how the stories are created.”

The film director emphasized that imaginative woman that influenced him so much. Lynch with eyes closed told us a story about a naked woman who came to him from the dark:

“Yes, I like women, I like the idea of people who come out of the dark. I saw this woman when I was a kid. It was a night and she came out of a dark. She was naked and she had a bloody mouth. Probably she was beaten. Her husband or her boyfriend beat her. It was a traumatic scene, but it was very important for me. This woman was very very pale. I’ve never seen a naked woman before and it had a big influence on me. My younger brother was with me and he started to cry. I didn’t know how to help him. Like in my films women participate in very many films. There are men too in my films. Everything is related to how the characters influence each other in this movie story. An artist should not suffer in order to express suffering. It should be an experience which is full of joy”.

Lynch paid a visit in the Parliament of Georgia yesterday concerning the question of establishing a University. Although he finds very important establishment of this university, he thinks that he lost time during academic education. Lynch thinks that it’s impossible to learn creativity but technical knowledge is important for him.

“It’s important to learn by doing, intellectual knowledge that you listen to, disappears sometimes, you learn by really doing”, - says the film director.